| **ზ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის განკარგულებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1 ისტ-ის ოთახი, 1 ოთახი ადმინისტრაციისათვის. საკლასო ოთახებში განთავსებულია 192 ინდივიდუალური მერხი და სკამი. ყველა საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კედელზე კიდია დაფები, ტელევიზორები, სასწავლო თვალსაჩინოებები.<br><br>ექსპერტთა მიერ საკლასო ოთახების ფართის შეფასების შედეგებით დგინდება, რომ მათში საერთო ჯამში შესაძლებელია განთავსდეს 220 მოსწავლის მაგიდა და სკამი. სკოლამ წარმოადგინა 235 მოსწავლის მერხის შესყიდვის დოკუმენტაცია.<br><br>**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკლასო ოთახები და მათი აღჭურვილობა სრულად არის მორგებული მოსწავლის საჭიროებებს.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ხელშეკრულებები საქონლის შესყიდვის შესახებ;<br>• ნასყიდობის ხელშეკრულებები;<br>• სასაქონლო ზედნადებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქალაქ თბილისის №65 საბავშვო ბაღთან, რომლის თანახმადაც სკოლას უფლება აქვს ისარგებლოს შენობის მეორე სართულზე მდებარე დარბაზითა და ეზოში მდებარე ღია სპორტული მოედნით (კვირაში 5 დღე 5 ასტრონომიური საათი) და ჩაატაროს იქ სპორტის გაკვეთილები იმ დათქმით, რომ ბაღის აღსაზრდელები დარბაზით და ღია სპორტული მოედნით ისარგებლებენ დღის მეორე ნახევარში, ხოლო სკოლის მოსწავლეები დღის პირველ ნახევარში, საგაკვეთილო დროს სპორტის მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ.<br><br>სკოლას შეძენილი აქვს ბურთები, ჰულაჰუპები, კეგლის ბოთლები, ბურთები და სხვა სპორტული ინვენტარი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;<br>• შენობის აზომვითი ნახაზი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შენობის მეორე სართულზე ერთ-ერთ ოთახში მოწყობილია საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია-კაბინეტი, რომელიც შედგება ორი სივრცისგან: ერთ-ერთში დამონტაჟებულია ონკანი და გამწოვი ფარი, კარადებში განთავსებულია რეაქტივები, ხოლო მეორე სივრცეში- ოვალური მაგიდა და სკამები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • 2011 წლის ხელშეკრულება ლაბორატორიის ნასყიდობის შესახებ ჯეო-დეკორთან 208 ერთეულის შესყიდვაზე;<br>• ვიზუალური დათვალიერება |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება წყალი, ელექტროენერგია და გაზი, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებით. სკოლა დასუფთავების სამსახურის, შპს თელმიკოს, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის, სილქნეტ DSL-ის აბონენტია.<br><br>ყველა ოთახს აქვს ფანჯრები.<br><br>აღსანიშნავია, რომ პირველ სართულზე მდებარე 2 საკლასო ოთახს აქვს დიდი ფანჯრები, რომლებიც გამოდის დერეფანში, თავის მხრივ დერეფანსაც აქვს დიდი ფანჯრები, რომელთა საშუალებით ამ საკლასო ოთახების განათება უზრუნველყოფილია იმგვარად, რომ ელექტროენერგიის გამოყენების გარეშეც ოთახები ნათელია.<br><br>მეორე სართულის ორ საკლასო ოთახის ფანჯრები გადის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია-კაბინეტში, შესაბამისად, აღნიშნული 2 საკლასო ოთახი არაა უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათებით. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა-სწავლების პროცესს ახორციელებს ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, საჭიროებს ბუნებრივი განათების უზრუნველყოფილ 12 საკლასო ოთახს. ზემოთ აღნიშნული 2 საკლასო ოთახის გამოკლებით, სკოლას აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობით უზრუნველყოფილი 10 საკლასო ოთახი. გამომდინარე აქედან, ქვესტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, 2 საკლასო ოთახში განთავსებული მოსწავლეები უზრუნველყოს ბუნებრივი განათების შესაძლებლობის მქონე საკლასო ოთახებით.<br><br>სჰს ,,კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელის“ ადმინისტრაციის მიერ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გამოგზავნილი დაწესებულების 2022 წლის 16 ნოემბრის (რეგ.108) წერილის მიხედვით „ ... ორი საკლასო ოთახი, რომელიც გადიოდა საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიაში, გაფართოვდა, მოიხსნა კლასებისა და ლაბორატორიის გამყოფი კედელი და შედეგად მივიღეთ უფრო დიდი ფართობის მქონე ორი ოთახი, საიდანაც ერთში განთავსდება საკლასო ოთახი, ხოლო მეორეში საბუნებისმეტყველო კლას-ლაბორატორია. ამასთან, სკოლას ცალკე ჰქონდა გამოყოფილი ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფილი, არასაგაკვეთილო დანიშნულების ოთხარი მეორე სართულზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, აღნიშნული ფართიც გამოყენებულ იქნას საკლასო ოთახად, რაც უკვე განხორციელდა. ზემოაღნიშნულ ხვლილებების დასტურს წარმოგიდგენთ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვა[illegible]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფოტომასალის სახით. ...“<br><br>სკოლაში დამონტაჟებულია გათბობის სისტემა და, შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, როგორც გოგონებისათვის, ასევე ვაჟებისათვის.<br><br>**ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დგინდება, რომ** სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოა შექმნილი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• კომუნალური მომსახურების გადახდის ქვითრები;<br>• სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გამოგზავნილი დაწესებულების 2022 წლის 16 ნოემბრის (რეგ.108) წერილი;<br>• სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გამოგზავნილი დაწესებულების 2022 წლის 16 ნოემბრის (რეგ.108) წერილზე თანდართული ფოტომასალა. |
| **შეფასება:** | ☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1963 წიგნადი ერთეული, მათ შორის სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოები. შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი სახელმძღვანელოები. გეგმაში მითითებული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჯვა[illegible]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სახელმძღვანელოები ყველა იყო ბიბლითეკაში.<br>წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, შეტანილია ანბანურ და საგნობრივ კატალოგში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება.<br>ბიბლიოთეკაში გამოკრულია მუშაობის საათები და სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ბიბლიოთეკის კატალოგი;<br>• წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები;<br>• საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი;<br>• სასაქონლო ზედნადებები;<br>• მიღება ჩაბარების აქტები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა გამოთქვამს მზაობას, რისთვისაც შექმნილია ადაპტირებული გარემო. შენობის 1 სართულზე გაკეთებულია პანდუსი, მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებზე დამონტაჟებულია რკინის პანდუსები, პირველ სართულზე ადაპტირებული ტუალეტია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერების შედეგები;<br>• პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• მირება ჩაბარების აქტები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული სულ 15 კომპიუტერი, მათ შორის, 10 კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერის ოთახში, 1 ბიბლიოთეკაში. სკოლას აქვს ასევე პრინტერები.<br>სკოლის ვებგვერდია: davitiani.edu.ge, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქც იას. მასზე განთავსებულია ელექტრონული ჟურნალი;<br>**დასკვნის სახით: სკოლა სრულფასოვნად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რაც დადასტურდა სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრებით.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის ვებგვერდი https://davitiani.edu.ge/;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები;<br>• კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები-საგადასახადო დავალებები, ჩუქების ხელშეკრულებები;<br>• სილქნეტ DSL-თან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>• ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა - სკოლის მიერ შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. შენობაში განთავსებულია წესების დაცვით დატენილი, ვადიანი ცეცხლმაქრები. სკოლის ყველა სივრცეში განთავსებულია კვამლის და მოძრავი სიგნალიზაციის დეტექტორები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები;<br>• ინვოისები ცეცხლმაქრების გადამუხტვაზე<br>• მიღება-ჩაბარების აქტები ცეცხლმაქრების შეძენაზე.<br>• ხელშეკრულება შპს ხანძრის ქრობა 7- თან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ორივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, რომელიც შექმნილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.<br>• უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმა |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სამედიცინო დახმარებისთვის სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმიც და ექთანიც, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, წამლების კარადა საკეტით, თეჯირი, საკაცე, მაგიდა, დამონტაჟებულია ონკანი, დგას სასწორი და გამოკრულია პირველადი დახმარების გაწევის წესები და პროცედურები. ექთანთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ იგი აღრიცხავს ჩატარებულ მიმართვიანობას და გაცემულ პრეპარატებს, წამლების მიღებას და ჩამოწერას. სკოლაში შემუშავებულია სამედიცინო დახმარების მექანიზმები. ექიმის კვალიფიკაცია და სამედიცინო სივრცის აღჭურვილობა აკმაყოფილებს 2022 წლის 21 მარტის 41/ნ/01-23/ნ ბრძანებას.<br><br>სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები" (2022 წლის 31 მარტი) აღნიშნულია, რომ სკოლაში დასაქმებულია ექთანი.<br><br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული რეგულაცია შესაბამისობაში მოიყვანოს რეალურ გარემობასთან. სპს ,,კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელის" ადმინისტრაციის მიერ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გამოგზავნილი დაწესებულების 2022 წლის 16 ნოემბრის (რეგ.108) წერილისა და მასზე თანდართული ბრძანების (N1/42, 14.11.2022 წ.) მიხედვით სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;<br>• შემთხვევების, მომართვიანობის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• ექიმთან და ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულებები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვ...

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გამოგზავნილი დაწესებულების 2022 წლის 16 ნოემბრის (რეგ.108) წერილი;<br>• სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გამოგზავნილი დაწესებულების 2022 წლის 16 ნოემბრის (რეგ.108) წერილი და მასზე თანდართული ბრძანება (N1/42, 14.11.2022 წ.). |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლაში შემუშავებულია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ხელშეკრულებაა გაფორმებული დისციპლინის ოფიცერთან, რომელსაც ევალება აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლაში წესრიგის დაცვა, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სხვა პირთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • დისციპლინის ოფიცერთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;<br>• გასაუბრების შედეგები; |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შეძენილი აქვს უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. შენობის და მიმდებარე ტერიტორიის გასაკონტროლებლად დაწესებულებას აქვს 14 კამერა, მათ შორის 7 დამონტაჟებულია სკოლის შენობაში, ხოლო 6 - გარე პერიმეტრზე. სათვალთვალო კამერების პარამეტრები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კამერების კონტროლს ახორციელებს დისციპლინის ოფიცერი.<br><br>საბავშვო ბაღთან დადებული მემორანდუმის მიხედვით, სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობისა და გარე პერიმეტრის სრული კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით.<br><br>აღსანიშნავია, რომ მემორანდუმში დაფიქსირებულია შენობის მისამართი ბაბუციძის №5, ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მარელისის №5<br><br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლის შენობის მისამართი შესაბამისობაში მოიყვანოს რეალურ გარემოებებთან, როგორც ირკვევა, მარელისის ქუჩა ძველი სახელწოდებაა, ხოლო ბაბუციძე- ახალი. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გამოგზავნილი დაწესებულების 2022 წლის 16 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭვალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ნოემბრის (რეგ.108) წერილისა და მასზე თანდართული საჯარო რეესტრის (14.11.2022 წ.) ამონაწერის მიხედვით სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და მისამართი შესაბამისობაშია მოყვანილი რეალურ გარემოებასთან - მარელისის ქუჩა ჩანაცვლდა ილია ბაბუციძის ქუჩის სახელწოდებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერება<br>• ვიდეოსამეთვალყურეოს სისტემის ფლობის დოკუმენტაცია;<br>• საბავშვო ბაგა-ბაღთან დადებული მემორანდუმი;<br>• სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გამოგზავნილი დაწესებულების 2022 წლის 16 ნოემბრის (რეგ.108) წერილი;<br>• სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გამოგზავნილი დაწესებულების 2022 წლის 16 ნოემბრის (რეგ.108) წერილზე თანდართული საჯარო რეესტრის (14.11.2022 წ.) ამონაწერი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია რიგი მარეგულირებელი დოკუმენტაცია. მათ შორის სკოლის დებულება, შინაგანაწესი, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, მშობელთან კომუნიკაციის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, პირველადი სამედიცინო დახმარების დებულება, კათედრების დებულება, საქმისწარმოების წესი, განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურა, შემუშავებულია სტრუქტურული ერთეულების უფლება- |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავ (ხელმოწერა)

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლაში შემუშავებული საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლამ წარმოადგინა 2016-2022 წლების ექსწლიანი სამოქმედო გეგმა, 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა და 2023-2028 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტების შინაარსით განსაზღვრულია სწავლა-სწავლების ხარისხის, მატერიალური და ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • 2016-2022 წლების ექსწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>• 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;<br>• 2023-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების წესი, რომლის თანახმად სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა:<br>1. საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2. მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი,<br>3. შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, 4. შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი,<br>5. გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი,<br>6. მშობლებთან დადებული ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი.<br>ჟურნალები დანომრილი და ზონარგაყრილია. ისინი დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით.<br><br>შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა ყველა სარეგისტრაციო ჟურნალი შესაბამისი დოკუმენტაციით და დადგინდა, რომ სკოლაში საქმისწარმოება დადგენილი წესით მიმდინარეობს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შემოსული და გასული კორესპონდეციების, ბრძანებების, ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალები;<br>• საქმისწარმოების წესი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | ქვესტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, 2 საკლასო ოთახში განთავსებული მოსწავლეები უზრუნველყოს ბუნებრივი განათების შესაძლებლობის მქონე საკლასო ოთახებით. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | მეორე სართულის ორ საკლასო ოთახის ფანჯრები გადის საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია-კაბინეტში, შესაბამისად, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღნიშნული 2 საკლასო ოთახი არაა უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათებით. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა-სწავლების პროცესს ახორციელებს ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, საჭიროებს ბუნებრივი განათების უზრუნველყოფილ 12 საკლასო ოთახს. ზემოთ აღნიშნული 2 საკლასო ოთახის გამოკლებით, სკოლას აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობით უზრუნველყოფილი 10 საკლასო ოთახი. გამომდინარე აქედან, ქვესტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, 2 საკლასო ოთახში განთავსებული მოსწავლეები უზრუნველყოს ბუნებრივი განათების შესაძლებლობის მქონე საკლასო ოთახებით. |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| |
|---|
| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | წარმოდგენილი საშტატო განრიგისა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის მიხედვით სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორი ფინანსურ დარგში, აღმასრულებელი დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, ხარისხის მართვის მენეჯერი, 26 მასწავლებელი, ბუღალტერი, პიარმენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, ექიმი, ექთანი, 2 დამლაგებელი, დარაჯი და მუშა.<br>აღნიშნული ადამიანური რესურსით შესაძლებელი იქნება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განხორციელება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საშტატო განრიგი;<br>• eSchool ბაზა;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 26 |
| მოწვეული/მაძიებელი | 7 (მოწვეული), 2 (მაძიებელი). |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 0 |
| უფროსი მასწავლებლი | 18 |
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | მასწავლებლების პირადი საქმეების მიხედვით დასტურდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწვლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | გეგმის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციები. უმეტესობა მათგანი ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ან შერჩეულია კანონმდებლობის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებლების პირადი საქმეები;<br>• eSchool ბაზა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისგან: რეგულირების სფერო, კონკურსის მიზანი, პრინციპები, ჩატარების წესი, გამოცხადების წესი, მონაწილეობისთვის განაცხადების წარდგენა, კომისიის შემადგენლობა, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები,საპრეტენზიო კომისია, კონკურსის შედეგების გასაჩივრება, კონკურსის ჩატარების განსხვავებული წესი.<br><br>შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის მიღების, გათავისუფლების, წახალისების ფორმები, წახალისების გამოყენების წესი, დისციპლინური გადაცდომების ფორმები, გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოები და დისციპლინური წარმოების დაწყების პროცესი, საქმის გარემოებათა გამოკვლევა, დისციპლინური სახდელის დაკისრება ან უარი დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე, დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა და მოქმედების ვადა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;<br>• კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოცემული ბრძანება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შინაგანაწესი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.<br>მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები დიფერენცირებულია სტატუსის შესაბამისი ფუნქციების მიხედვით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • გაფორმებული ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მუშაობს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებლების ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, შემუშავებულია შესაბამისი დებულება, სამოქმედო გეგმა და გაკვეთილებზე დასწრების განრიგი.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ გასულ სასწავლო წელს აქტიურად მიმდინარეობდა გაკვეთილებზე ჯგუფის წევრების დასწრება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება. მასწავლებლებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ აღნიშნული პროცესის მიმართ და 2022-2023 სასწავლო წელსაც გრძელდება აღნიშნული პროცესი.<br>სკოლაში ტარდება პროფესიული განვითარების ტრენინგები. სამუშაო შეხვედრები, საგნობრივ ჯგუფებთან ასევე ინდივიდუალურად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღნიშნული მუშაობის მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპებთან და განსაზღვრული შედეგების მიღწევა. ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება კომპლექსური დავალებების დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების შეფასების მიმართულება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;<br>• მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო გეგმა;<br>• გაკვეთილებზე დასწრების გეგმა;<br>• გაკვეთილზე დასწრების ფორმები;<br>• ჩატარებული გაკვეთილების შეფასების შევსებული ფორმები;<br>• კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესის მონიტორინგის ინსტრუმენტი;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შინაარსის მიხედვით შესაძლებელია სასკოლო საზოგადოების წევრებზე პასუხისმგებლობების გადანაწილება და შესაძლებლობების გამოვლენის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.<br><br>სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში არსებობს თანამშრომლობის ატმოსფერო. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის მოსწავლეები, მოსწავლეების მშობლები და თანამშრომლები გასაუბრებისას აქტიურად საუბრობენ სკოლაში არსებული დაცულობისა და კეთილგანწყობის გარემოს შესახებ. მოსწავლეები აქცენტს აკეთებენ მასწავლებლებსა და დამრიგებლებთან ურთიერთობის ასპექტებზე. მშობლები აღწერენ სკოლის ადმინისტრაციის მიერ მათი ინიციატივების მოსმენისა და გათვალისწინების შემთხვევებს. კმაყოფილებას გამოთქვამენ მათგან ინფორმაციის მიწოდების სისტემატურობისა და კონკრეტულ საჭიროებაზე თანამშრომლობის შესახებ.<br><br>მასწავლებლები აღნიშნავენ სკოლაში არსებული ურთიერთობების მრავალწლიან გამოცდილებას, როგორც კოლეგებთან, ასევე ადმინისტრაციასა და მოსწავლეების მშობლებთან.<br><br>აღწერილიდან გამომდინარე სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• სკოლის დებულება;<br>• შინაგანაწესი;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• საგნობრივი კათედრის დებულება;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების დოკუმენტი;<br>• პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;<br>• მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო გეგმა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების დოკუმენტი;<br>• მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობლებთან კომუნიკაციის დებულება;<br>• ხელშეკრულებები;<br>• მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>• მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

• თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქალაქი თბილისი 24.11.2022 წ.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 47 (ორმოცდაშვიდი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.